



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ადამიანის რეპროდუქციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი

ადამიანის რეპროდუქციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი ი. ჟორდანიას სახელობისა, სპეციალიზებული სამედიცინური სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება, რ-იც იკვლევს ადამიანის რეპროდუქციულ ფუნქციასთან დაკავშირებულ ყველა თეორ. და პრაქტ. პრობლემას.

დაარსდა 1958 წლის ფიზიოლოგიისა და პათოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინ-ტის სახელწოდებით. ინ-ტს 1963 მიენიჭა ი. ჟორდანიას სახელი. 1972 ეწოდა ადამიანის გენერაციული ფუნქციის სამეცნიერო-კვლევითი ინ-ტი, 1988 – ადამიანის რეპროდუქციის სამეცნიერო-კვლევითი ინ-ტი, 2014-იდან – შპს „ჟორდანიას სახ. რეპროდუქტოლოგიის ინ-ტი“.

პროფ. ი. ჟორდანიას ხელმძღვანელობით საქართველოში საფუძვლიანი ჩაყარა უნაყოფობის პრობლემის გადაჭრის გზები; შემუშავდა ტაქტიკურ-სტრატეგიული გეგმა, დაისახა უშვილობასთან ბრძოლის სამოქმედო პროგრამა, რ-ის ძირითადი მიზანია საქართველოში მოსახლეობის გამრავლება. მოცემულ ასპექტში გამოიკვეთა მამაკაცის უშვილობის პრობლემა, ბრძოლა ხელოვნურ აბორტთან, დაგვიანებულ ქორწინებასთან და სხვ.

1984-იდან ინ-ტს ხელმძღვანელობს პროფ. ა. ხომასურიძე, რ-ის ძალისხმევით ჩამოყალიბდა დამოუკიდებელი დისციპლინა – რეპროდუქტოლოგია. საქართველოში პირველად ჩატარდა in vitro განაყოფიერება, ლაპაროსკოპიული კვლევა, დაინერგა კონტრაცეპცია, სარძევე ჯირკვლისა და საშვილოსნოს ყელის სკრინინგი, მედიკამენტური აბორტი, მიფეპრისტონით უმტკივნეულო მშობიარობა და სხვ. ინოვაციები. 1988 ინ-ტი გახდა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის სათანამშრომლო ცენტრი შობადობის

რეგულაციის საკითხებში.

ამჟამად, ინ-ტს აქვს 14 კაბინეტი: ქალის და მამაკაცის რეპროდუქციის, ანდროლოგიის, სექსოლოგიის, უროლოგიის, მამოლოგიის, ბავშვთა და მოზარდთა რეპროდუქტოლოგიის, საერთო ენდოკრინოლოგიის, in vitro განაყოფიერების, ულტრაბგერითი დიაგნოსტიკის, კლინიკურ-ლაბორატორიული დიაგნოსტიკის (ჰორმონული, ბიოქიმიური, იმუნოლოგიური გამოკვლევები) და ტექნ. სამსახური.

ინ-ტში სწავლობენ მოსახლეობის დემოგრაფიულ და სოციოლოგიურ პრობლემებს, შობადობის რეგულაციის საკითხებს, საშვილოსნოს მიღების პათოლოგიით და ენდოკრინული გენებით გამონვეულ უშვილობას, ანდროლოგიის პრობლემებს და სხვ. ინ-ტი პერიოდულად აქვეყნებს შრომათა კრებულებს, ატარებს რესპ. და საერთაშ. კონფერენციებს, სიმპოზიუმებს.

ა. ხომასურიძე
